

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

04 ოქტომბერი 2018 წ.

თბილისი

№ 778/03

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების” მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის 27 სექტემბრის №246 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:

1. როა'ა სამი ისსა ტაჰა- იორდანიის ჰაშემიტური სამეფოს მოქალაქე;
2. რეებ ვაქარ- პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე;
3. ბენნეტ ჯეიმს სუტაკარ- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
4. შვეთა საჯითკუმარ- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
5. აფრაჰ ვაქარ- პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე;
6. დარშინი ვითთალ- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
7. მოსამმატ დარეენ სანზანა- ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე;
8. მათა რამაზანოვა- აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე;

2. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს სომალის რესპუბლიკის მოქალაქე ჰამდა მოჰამედ ჰასსან.

3. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს კანადის მოქალაქე აჰმედ აბას ნაჯი ალ-შამარი.

4. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რუსულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე სოლმაზ ალიევა.

5. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:

1. ჰალეკ ფაზელი- ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე;
2. კარემ ელსაიდ მოჰამედ ელსაიდ ელმოკდემ- ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის მოქალაქე.

6. ამ ბრძანების პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე პუნქტებით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2018 წლის 16 ნოემბრამდე.

7. ამ ბრძანების მესამე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2018 წლის 20 ოქტომბრამდე.

8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, თსსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს, თსსუ-ს სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს ს. მღებრიშვილს და თსსუ-ს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს ლ. მასხულიას.

9. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

10. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს ხ. თოდაძეს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, თსსუ-ს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს ლ. მასხულიას, თსსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს, თსსუ-ს სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს ს. მღებრიშვილს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მ/შ თ. კილასონიას, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსს თ. სტეფანიშვილს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ეკონომიკურ დეპარტამენტს.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი